GW Georgia Local Translated Document from Corporate HSEQ Policy in English
ინგლისურენოვანი კორპორატიული HSEQ პოლიტიკის ლოკალური თარგმნილი დოკუმენტი GW საქართველოსთვის

English Version: 03.2020
თარგმანი ძალაშია: 04.2020

# HSEQ-პოლიტიკა
# ჯანმრთელობა. უსაფრთხოება. გარემო. ხარისხი

**Gebrüder Weiss GmbH საერთაშორისო ოპერაციებში ხარისხის, უსაფრთხოების, გარემოს, ჯანმრთელობისა და სამართლებრივი კორექტულობის დაცვის პრინციპით ხელმძღვანელობს.**

გამომდინარე აქედან ჩვენ გადავწყვიტეთ ISO 9001, ISO 14001, ISO 22000 და ISO 45001 სტანდარტები ჩვენს ჩანაწერთა მართვის სისტემაში დაგვენერგა. აღნიშნული სტანდარტები გახდა კომპანიების მთელი ჯგუფისთვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსა და ხარისხის დაცვის კუთხით (HSEQ) სავალდებულო. ეს პრინციპები დაედო საფუძვლად ერთიან ორგანიზაციას ნაკლები განსხვავებული ინტერფეისით, როგორც არის მოცემული „Seamless Manual"-ში.

## ჩვენთვის ხარისხი ნიშნავს:

- შევესაბამებოდეთ ჩვენი სერვისების როგორც შიდა, ასევე გარე მომხმარებლების მოლოდინებს.
- განვავითაროთ და დავნერგოთ ჩვენი კლიენტებისათვის დამატებითი ღირებულების მქონე სერვისები და მიზნად გვქონდეს კლიენტთა კმაყოფილების მიღწევა. ჩვენი საზღვრებშორისი სტრატეგიული ორიენტირი ოპერაციულად და ტექნიკურად ჰარმონიზირებულ სერვისებთან ერთად ქმნის შესაბამის ბაზას აღნიშნულის მისაღწევად.
- საბოლოო მიზანი არის ჩვენს კლიენტებსა და პარტნიორებს შესანიშნავი ხარისხის მომსახურებასთან და რაციონალურ ფასთან ერთად შევთავაზოთ რაღაც გამორჩეული, რაც ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელებასა და სხვათათვის რეკომენდაციის გაწევის სურვილს გაუჩენს.
- კლიენტების საჭიროებებისა და კმაყოფილების დაფიქსირება შესაბამისი და ჩამოყალიბებული საკომუნიკაციო და პრეტენზიების ანალიზის სისტემების მეშვეობით.
- თანამშრომლების გადამზადება შიდა და გარე ხარისხის სტანდარტების მიხედვით GW-lifetime-ის შესაბამისად.
- პასუხისმგებლობის ფარგლებში კონტრაქტორების რეგულარულად შეფასება და განვითარების ხელშეწყობა მომწოდებლებისა და მომსახურების ინტეგრირებული მართვის სისტემის შესაბამისად.

## ჩვენთვის გარემო ნიშნავს:

- „უნიკალურ აქტივს", ჩვენ მას ყურადღებას ვაქცევთ არა მხოლოდ სატრანსპორტო კავშირის შერჩევისა და დაგეგმვისას, არამედ ყოველდღიურ საქმიანობის დროსაც.
- ჩვენ პასუხისმგებლობას ვიღებთ ხარისხზე და ვმოქმედებთ გარემოს დაცვაზე და მდგრადობაზე ორიენტირებულად. ჩვენთვის გარემოს დაცვა არა დამატებითი ხარჯი, არამედ გრძელვადიანი მიზანია, რომელში ინვესტირებაც ღირებულია როგორც ამჟამად ასევე მომავალშიც.
- მდგრადობა Gebrüder Weiss-ს ერთ-ერთი ძირითად ღირებულებას წარმოადგენს. ეს არის საუკუნოვანი ტრადიციების კომპანია, რომელიც თავის არსებობის მანძილზე ყოველთვის აზროვნებდა და მოქმედებდა მდგრადობაზე ორიენტირებულად. გრძელვადიანი წარმატება ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე კვარტალური შედეგების მაქსიმიზირება.
- Gebrüder Weiss მოქმედებს მდგრადი მენეჯმენტის პრინციპით,- სამი ძირითადი ასპექტი - სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური - არის ძირითადი სამოქმედო პრინციპი და თანაბარი მნიშვნელობის მქონე. სოლიდური ფინანსური ბაზისი უზრუნველყოფს ინვესტიციებისა და ინოვაციების შესაძლებლობებს. Gebrüder Weiss ასრულებს თავის სოციალური და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას და მხარს უჭერს გარემოს დაცვის საჭიროების გაცნობიერებას, რაც არის საზოგადოებაში თანაბარუფლებიანი თანაარსებობის წინაპირობა.

## ჩვენთვის უსაფრთხოება და ჯანმრთელობა ნიშნავს:

- რეალურად შესრულებულ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას (CSR).
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობასთან ერთად, ჩვენ დანერგილი და შემოღებული გვაქვს ნებაყოფლობითი სტანდარტები უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.
- სამუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება მუდმივი საშიშროების იდენტიფიცირების, რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების (მაგ. საკვების და სამუშაო უსაფრთხოება) გატარების მეშვეობით.
- ასაკის მიხედვით შესაბამისი სამუშაო პოზიციონირება ჩვენი ორგანიზაციის ერთერთი მიმდინარე მიზანია.
- ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის და უსაფრთხოების ზომების მუდმივ განვითარებას Gebrüder Weiss-ისა და მისი კლიენტების ქონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განზრახ ზიანის, დაბინძურების, ჩანაცვლების, ქურდობისა და დაკარგვისგან დასაცავად, აღნიშნული ტვირთების მაღალი უსაფრთხოების და მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

## ჩვენთვის სამართლებრივი შესაბამისობა ნიშნავს:

- ჩვენ ვალდებულნი ვართ საქმიანობა შესაბამის კანონმდებლობის სრული დაცვით წარმოებდეს. ამასთან ერთად, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ქცევის კოდექსი რომელიც ეფუძნება ჩვენ ოთხ ძირითად ღირებულებას - დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობას, მომსახურების ხარისხს და მდგრადობას.
- ქცევის კოდექსი განსაზღვრავს ბიზნეს ეთიკის მზარდ ხარისხს, სანდოობასა და შესაბამისობას მთლიანად Gebrüder Weiss-ის მასშტაბით.
- თანამშრომლების, მიმწოდებლების და პარტნიორების მხრიდან კანონების დაცვის პასუხისმგებლობა.
- ინფორმაცია კლიენტების, პარტნიორების, სუბკონტრაქტორების, თანამშრომლებისა და კონკურენტების შესახებ უნდა იყოს კონფიდენციალური.
- ჩვენ ვიცავთ ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპს, ჩვენი ინფორმაციული ტექნოლოგიები დაცულია უშიშროების რისკებისა და დაზიანებისგან.
- ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ვალდებულებაა „გაეროს გლობალური შეთანხმების“ 10 პრინციპის და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ დადგენილი ძირითადი ღირებულებების დაცვა: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, სანდოობა, სოლიდარობა, გამბედაობა, სამართლიანობა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა.
- ყოველი თანამშრომელი ვალდებულია იურიდიულ დეპარტამენტს, შესაბამისობის უზრუნველყოფის ოფიცერს ან უშუალოდ უფროს მენეჯმენტს აცნობოს ორგანიზაციის კანონების ან ეთიკის პრინციპების დარღვევის ფაქტები.

ხარისხის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის, სამართლებრივი შესაბამისობისთვის ჩვენ პასუხისმგებლები ვართ უწყვეტი განვითარების პროცესზე და ღია კომუნიკაციაზე კლიენტებთან, თანამშრომლებთან, სახელმწიფო სააგენტოებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. წელიწადში ერთხელ ქვეყნდება ჩვენი მდგრადობის ანგარიში, რომელშიც ასახულია კომპანიის ახალი ინიციატივები და მიმდინარე განვითარება.

ნათარგმნია ინგლისური ვერსიიდან, რომლის ორიგინალი დამტკიცებულია მმართველი საბჭოს ხელმოწერებით:

**მმართველი საბჭო**
**GW ჯგუფი:**



იურგენ ბაუერი

ვოლფრამ ზენგერ-ვაისი



ლოთარ თომა

პეტერ კლოიბერი

მარცხნიდან მარჯვნივ : იურგენ ბაუერი, ვოლფრამ ზენგერ-ვაისი, ლოთარ თომა, პეტერ კლოიბერი